ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1200238

ნომერი: AR1207863

თარიღი : 27.03.2014

გაცემის თარიღი : 01.04.2014

გაცნობის თარიღი : 03.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სადგური ლილო , N 51 / ქალაქი თბილისი , სადგური ლილოს მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ადელ ყაჰრემანი გარგარი პ/ნ 01092000276
- თბილისი შუამთის ქ. N 1 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე I კლასის დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობების განთავსების კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანას და მასზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, სადგური ლილო, #51/ სადგური ლილოს მიმდებარედ, სამსახურის მიერ 20.11.2013 წ. №1006688 გადაწყვეტილებით თანხმობით გაცემულ შპს "ნაქა"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობების განთავსების კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანას და მასზე სარეკლამო აბრის მოწყობის ნებართვას. თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.19.15.005.048; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მინდობილობა, გენგეგმა, შპს "ნაქა"–ს დირექტორის თანხმობა პირველივე მოთხოვნისთანავე დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობების დემონტაჟზე) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, სადგური ლილო, #51/ სადგური ლილოს მიმდებარედ, სამსახურის მიერ 20.11.2013 წ. №1006688 გადაწყვეტილებით თანხმობით გაცემულ შპს "ნაქა"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობების განთავსების კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანას და მასზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ქალაქის პირველივე მოთხოვნისთანავე შპს "ნაქა"–ს ხარჯებით მოხდეს დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

ამასთან, შენობა–ნაგებობების მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:
– საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს, სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარისა და ფანჯრის ღიობების მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.
– სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.
– საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge